

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ველფარ ინტერნეიშენალი“
ს/ნ 415091830

ფინანსური ანგარიშგება
მომზადებული

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

თბილისი
2025

სარჩევი

- ❖ მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე
- ❖ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	8
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებები და შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია	12
2. მომზადების საფუძველი	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	12
4. ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში	15
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	15
6. კომპანიის ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	16
7. კომერციული ხარჯები	16
8. ადმინისტრაციული ხარჯები	16
9. ფინანსური ხარჯები	17
10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	17
11. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	17
12. მოგების გადასახადის ხარჯი	18
13. ძირითადი საშუალებები	18
14. მარაგები	19
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
16. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
18. პირობითი ვალდებულებები	21
19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	21
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22

მმართველობითი ანგარიში

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები
2. საქმიანობის განვითარების გეგმები
3. დასაქმებულთა რაოდენობა და საკადრო პოლიტიკა
4. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ველფარ ინტერნეიშენალის“ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვედნილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ანარ გასიმოვ

დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი,

თბილისი, საქართველო

შპს „ველფარ ინტერნეიშენალი“ ს/ნ 415091830

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ველფარ ინტერნეიშენალის“ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვედნილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ანარ გასიმოგ

დირექტორი

2025 წლის 30 სექტემბერი,

თბილისი, საქართველო



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ველფარ ინთერნეიშენალის“ პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ველფარ ინთერნეიშენალის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი ნაწილში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა შესაბამის ციფრებზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ველფარ ინთერნეიშენალის“ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავნიშნულვართ კომპანიის აუდიტორებად 2024 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის მარაგების სრულ ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების მდგომარეობისა და რაოდენობის შესახებ, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 2,570,175 ლარით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგებში, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს „ველფარ ინთერნეიშენალისგან“ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოეთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ველფარ ინტერნეიშენალის“ ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ველფარ ინტერნეიშენალის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და

არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ველფარ ინთერნეიშენალის“ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „ველფარ ინთერნეიშენალის“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „ველფარ ინთერნეიშენალი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს „ველფარ ინთერნეიშენალის“ ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

შპს „ბრაზერსის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-116982)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

გელა ბერაძე (რეგ. № SARAS-A-699523)

30 სექტემბერი 2025 წელი

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

შპს „ბრაზერსის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-116982)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

გელა ბერაძე (რეგ. № SARAS-A-699523)

30 სექტემბერი 2025 წელი



	შენიშვნები	2024 წელი	2023 წელი გადაანგ.
ამონაგები	6	40,242,768	29,689,782
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(24,198,180)	(19,856,909)
საერთო მოგება		16,044,588	9,832,873
კომერციული ხარჯები	7	(890,221)	(1,270,476)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(265,198)	(387,875)
საექვო მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(1,783,630)	(1,445,380)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(380,109)	(398,438)
საოპერაციო მოგება		12,725,430	6,330,705
ფინანსურ დანახარჯები	9	(128,036)	(123,325)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10	150,190	143,591
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	11	(5,883,342)	(1,448,997)
მოგება-ზარალი საკუთსო სხვაობიდან		1,143,973	(544,665)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		8,008,216	4,357,309
მოგების გადასახადი	12	(43,811)	(36,918)
საანგარიშო პერიოდის მოგება / ზარალი		7,964,405	4,320,391

ანარ გასიმოვ

დირექტორი

30.09.2025

თეა ბერინაშვილი

ფინანსური მენეჯერი


30.09.2025

	შენიშვნები	2024 წელი	2023 წელი გადაანგ.
ამონაგები	6	40,242,768	29,689,782
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(24,198,180)	(19,856,909)
საერთო მოგება		16,044,588	9,832,873
კომერციული ხარჯები	7	(890,221)	(1,270,476)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(265,198)	(387,875)
საექვო მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(1,783,630)	(1,445,380)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(380,109)	(398,438)
საოპერაციო მოგება		12,725,430	6,330,705
ფინანსურ დანახარჯები	9	(128,036)	(123,325)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10	150,190	143,591
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	11	(5,883,342)	(1,448,997)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		1,143,973	(544,665)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		8,008,216	4,357,309
მოგების გადასახადი	12	(43,811)	(36,918)
საანგარიშო პერიოდის მოგება / ზარალი		7,964,405	4,320,391


 ანარ გასიშოვ
 დირექტორი

30.09.2025




 თეა ბერინაშვილი

ფინანსური მენეჯერი

30.09.2025

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი გადაანგ.	1 დეკემბერი 2023 წელი გადაანგ.
აქტივები				
ძირითადი საშუალებები და არამატ. აქტივები	13	6,475	47,150	39,801
გრძელვადიანი აქტივები		6,475	47,150	39,801
მარაგები				
მარაგები	14	2,570,175	6,908,911	3,293,802
საგადასახადო აქტივები	12	1,946	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	22,109,040	16,047,910	27,737,709
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	5,375	4,574	605,777
მიმდინარე აქტივები		24,686,536	22,961,395	31,637,288
სულ აქტივები		24,693,011	23,008,545	31,677,090
კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი		176	176	176
გაუნაწილებელი მოგება		8,890,295	9,260,631	22,580,844
სულ კაპიტალი		8,890,471	9,260,807	22,581,020
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	12,931,723	11,096,756	6,566,755
ფინანსური ვალდებულებები	9	2,870,816	2,626,639	2,508,206
საგადასახადო ვალდებულებები	12	-	24,343	21,110
მიმდინარე ვალდებულებები		15,802,539	13,747,738	9,096,070
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		24,693,011	23,008,545	31,677,090

ანარ გასიმოვ

დირექტორი

30.09.2025

თეა ბერინაშვილი

ფინანსური მენეჯერი


30.09.2025

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი გადაანგ.	1 დეკემბერი 2023 წელი გადაანგ.
აქტივები				
ძირითადი საშუალებები და არამატ. აქტივები	13	6,475	47,150	39,801
გრძელვადიანი აქტივები		6,475	47,150	39,801
მარაგები	14	2,570,175	6,908,911	3,293,802
საგადასახადო აქტივები	12	1,946	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	22,109,040	16,047,910	27,737,709
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	5,375	4,574	605,777
მიმდინარე აქტივები		24,686,536	22,961,395	31,637,288
სულ აქტივები		24,693,011	23,008,545	31,677,090
კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი		176	176	176
გაუნაწილებელი მოგება		8,890,295	9,260,631	22,580,844
სულ კაპიტალი		8,890,471	9,260,807	22,581,020
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	12,931,723	11,096,756	6,566,755
ფინანსური ვალდებულებები	9	2,870,816	2,626,639	2,508,206
საგადასახადო ვალდებულებები	12	-	24,343	21,110
მიმდინარე ვალდებულებები		15,802,539	13,747,738	9,096,070
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		24,693,011	23,008,545	31,677,090


 ანზორ გასაძიოვ
 დირექტორი
 30.09.2025




 თეა ბერინაშვილი
 ფინანსური მენეჯერი
 30.09.2025

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
31 დეკემბერი 2022 წელი	176	22,580,844	22,581,019
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	4,320,391	4,320,391
განაწილებული დივიდენდი	-	(17,640,603)	(17,640,603)
31 დეკემბერი 2023 წელი	176	9,260,631	9,260,807
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	7,964,405	7,964,405
განაწილებული დივიდენდი	-	(8,334,741)	(8,334,741)
31 დეკემბერი 2024 წელი	176	8,890,295	8,890,471

 ანარ გასიმოვ

დირექტორი

30.09.2025

 თეა ბერინაშვილი

ფინანსური მენეჯერი

30.09.2025

შპს „ველფარ ინტერნეიშენალი“ ს/ნ 415091830
 საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
31 დეკემბერი 2022 წელი	176	22,580,844	22,581,019
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	4,320,391	4,320,391
განაწილებული დივიდენდი	-	(17,640,603)	(17,640,603)
31 დეკემბერი 2023 წელი	176	9,260,631	9,260,807
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	7,964,405	7,964,405
განაწილებული დივიდენდი	-	(8,334,741)	(8,334,741)
31 დეკემბერი 2024 წელი	176	8,890,295	8,890,471


 ანარ გახიშოვ
 დირექტორი

30.09.2025


 თეა ბერინაშვილი
 ფინანსური მენეჯერი

30.09.2025

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

	2024 წელი	2023 წელი
<i>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		
მყიდველებისგან/მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	27,910,912	35,942,671
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფული	(19,428,171)	(18,777,869)
გადახდილი გადასახადები	(134,491)	(125,402)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	8,348,250	17,039,400
<i>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	79,908	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(12,586)	-
ნეტო ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	67,322	-
<i>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</i>		
დივიდენდების გადახდა	(8,334,741)	(17,640,603)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(80,031)	-
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(8,414,772)	(17,640,603)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	800	(601,203)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,574	605,777
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	5,375	4,574

ანარ გასიმოვ

დირექტორი

30.09.2025


თეა ბერინაშვილი

ფინანსური მენეჯერი

30.09.2025

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისგან/მომხმარებლებისგან	27,910,912	35,942,671
მიღებული ფულადი სახსრები		
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფული	(19,428,171)	(18,777,869)
გადახდილი გადასახადები	(134,491)	(125,402)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	8,348,250	17,039,400
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	79,908	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(12,586)	-
ნეტო ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	67,322	-
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
დივიდენდების გადახდა	(8,334,741)	(17,640,603)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა	(80,031)	-
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(8,414,772)	(17,640,603)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	800	(601,203)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,574	605,777
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	5,375	4,574


 ანარ გასიმოვ
 დირექტორი

30.09.2025


 თეა ბერინაშვილი
 ფინანსური მენეჯერი

30.09.2025

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ველფარ ინთერნეიშენალი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2014 წლის 24 აპრილს. შპს „ველფარ ინთერნეიშენალი“ (შემდგომში „კომპანია“) მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N 264 (თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა).

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით კომპანიის წილის მფლობელები იყვნენ:

გვადარ ჰასანოვ, P4910483 /აზერბაიჯანი/ – 100.00%

კომპანიის დირექტორია ანარ გასიმოვ, C01292010, 01097000941 /აზერბაიჯანი/.

2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის მიერ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ერთ ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანია შპს „ველფარ ინთერნეიშენალი“ ამ ეტაპზე არის მომგებიანი, მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე და გაგრძელდება ექსპლუატაციის ფაზაზე უახლეს მომავალში. კომპანიას არ აქვს განზრახვა და არც საჭიროება ფულად აქციოს ან მატერიალურად შეზღუდოს თავისი საქმიანობის მასშტაბი. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

ლარი არის შპს „ველფარ ინთერნეიშენალის“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები აღირიცხება ამ ტრანზაქციის განხორციელების დღის არსებული კურსით რომლისთვისაც გამოიყენება ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი.

3.2 კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყილია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის

- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

3.3 ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.3.1 აღიარება და შეფასება

კომპანია ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალურ აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით და ცვეთას არიცხავს პროპორციულად. სასიცოცხლო ვადის განმავლობაში თუ კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში.

ნებისმიერი შემოსავალი ან ხარჯი რომელიც წარმოიქმნება აქტივის ამოღებიდან (გამოითვლება როგორც განსხვავება შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აღირიცხება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ხდება აქტივის ამოღება.

3.3.2 ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები

თუ ძირითად საშუალებაზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს აღნიშნული აქტივიდან მისაღები შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ დანახარჯი აუცილებელია რათა შენარჩუნდეს, ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

3.3.3. ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ოფისის აღჭურვილობა	5 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წლამდე
სხვა (იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა)	10 წლამდე

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვისთვის განკუთვნილი, და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი აქტივები კლასიფიცირდება როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები და აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, საქონელი წარმოდგენილია ფარმაცევტური საქონლის ფართო ასორტიმენტით. საქონლის გაყიდვებთან დაკავშირებულ პროცესში, როგორც საბითუმო ისე საცალო, წარმოქმნილ რისკებს კომპანია იღებს საკუთარ პასუხისმგებლობაში.

გასაყიდი საქონლის მარაგები რომლებიც კომპანიას გააჩნია, აღრიცხულია და დაცულია სასაწყობო მეურნეობაში.

3.5 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მაშინ როცა სავარაუდოა, რომ კომპანიას ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ. მიუხედავად იმისა, როდის მოხდება გადახდა. შემოსავლების განსაზღვრა ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადის გამოკლებით.

3.6 გადასახადები

3.6.1 მოგების გადასახადი

საანგარიშგებო პერიოდისათვის საქრთველოს კანონმდებლობის მიხედვით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო განთავისუფლებულია მოგების გადასახადისგან.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო (შემდგომში – თიზ-ის საწარმო) ვალდებულია საქრთველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდების შემთხვევაში გადაიხადოს საქონლის მიწოდებით მიღებული/მისაღები შემოსავლის (საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისას – ამ საქონლის საბაზრო ფასის) 4% არაუგვიანეს საქონლის მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

საანგარიშგებო პერიოდისათვის საქრთველოს კანონმდებლობის მიხედვით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო განთავისუფლებულია ქონების გადასახადისგან.

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან.

3.8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსავლების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით.

3.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, მაგრამ შემდგომ ისინი არ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

3.10 სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით, სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.11 მსს ფასს-ის ახალი სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების ასახვას მათ ძალაში შესვლისთანავე.

4. ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში

მას შემდეგ რაც კომპანიამ გამოსცა 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება, მასში აღმოაჩინა შეცდომები, კერძოდ:

1. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პოლიტიკა არ იყო მსს ფასს-ის შესაბამისი.
2. 2023 წლის დეკემბერში განხორციელებული რეალიზაცია მსს ფასს-ის მიხედვით ამონაგებად აღიარებას ექვემდებარებოდა 2024 წელში.

კომპანიამ რეტროსპექტულად გადაიანგარიშა წინა პერიოდები და ასახა მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

	31 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებამდე	კორექტირება	31 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
მარაგები	6,650,481	258,430	6,908,911
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	35,219,152	(19,171,242)	16,047,910
გაუნაწილებელი მოგება	28,173,443	(18,912,812)	9,260,631
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ამონაგები	30,359,979	(670,197)	29,689,782
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(20,115,339)	258,430	(19,856,909)
საექვო მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	1,439,136	(2,884,516)	(1,445,380)

	31 დეკემბერი 2022 წელი გადაანგარიშებამდე	კორექტირება	31 დეკემბერი 2022 წელი გადაანგარიშებული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	43,354,238	(15,616,529)	27,737,709
გაუნაწილებელი მოგება	38,197,373	(15,616,529)	22,580,844

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხვულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდებში.

კომპანია შპს „ველფარ ინთერნეიშენალი“ ამ ეტაპზე არის მომგებიანი, მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე და გაგრძელდება ექსპლუატაციის ფაზაზე უახლეს მომავალში. კომპანიას არ აქვს განზრახვა და არც საჭიროება ფულად აქციოს ან მატერიალურად შეზღუდოს თავისი საქმიანობის მასშტაბი. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

6. კომპანიის ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავალი შედგება ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისაგან. შპს „ველფარ ინთერნეიშენალ“ -ი საქონელს ყიდულობს როგორც ადგილობრივი მომწოდებლებისაგან ისე აკეთებს იმპორტირებას. კომპანიის მიერ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოადგენს ადგილობრივი და იმპორტირებული საქონლის შესყიდვის ღირებულებას. იმის გამო, რომ კომპანია დამოუკიდებელია, ამიტომ იღებს გადაწყვეტილებებს და რისკებს გაყიდვის პირობებთან დაკავშირებით, იგი ასრულებს არა აგენტის, არამედ საქონლით მოვაჭრის აქტიურ ფუნქციას.

	2024 წელი	2023 წელი გადაანგარიშებული
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	40,242,768	29,689,782
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(24,198,180)	(19,856,909)
საერთო მოგება	16,044,588	9,832,873

7. კომერციული ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი გადაანგარიშებული
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(750,060)	(741,148)
მარკეტინგული ხარჯი	-	(300,574)
შრომის ანაზღაურება.	(115,126)	(131,603)
საიჯარო ქირა	(25,035)	(97,150)
სულ	(890,221)	(1,270,476)

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი გადაანგარიშებული
შრომის ანაზღაურება	(160,787)	(153,335)
საკონსულტაციო ხარჯები	(21,360)	(149,078)
დაზღვევა	(403)	(13,982)
კომუნალური	(16,140)	(14,063)
ტვირთის დაზღვევა	(29,466)	(27,634)
ცვეთა და ამორტიზაცია	(11,167)	(5,891)
კომუნიკაციის ხარჯები	-	(300)
ბანკის საკომისიო	(25,875)	(23,593)
სულ	(265,198)	(387,875)

9. ფინანსური ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი გადაანგარიშებული
საპროცენტო ხარჯი	(128,036)	(123,325)
სულ	(128,036)	(123,325)

ფინანსური ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებული	1 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებული
მოკლევადიანი სესხები	1,645,725	1,577,868	1,581,136
გადასახდელი პროცენტები	1,225,091	1,048,771	927,069
გრძელვადიანი სესხები	-	-	-
სულ	2,870,817	2,626,639	2,508,206

კომპანიას არ აქვს ვალდებულებები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ.

10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2024 წელი	2023 წელი გადაანგარიშებული
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	116,359	143,591
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	33,832	-
წინა პერიოდის შეცდომის გასწორება	-	-
სულ	150,190	143,591

11. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	2024 წელი	2023 წელი გადაანგარიშებული
კრედიტნოტა	(5,854,488)	(1,437,262)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(28,854)	(11,735)
სულ	(5,883,342)	(1,448,997)

12. მოგების გადასახადის ხარჯი

	2024 წელი	2023 წელი გადაანგარიშებული
მოგების გადასახადით დასაბეგრი ბრუნვა	1,095,284	922,950
4%	43,811	36,918
მოგების გადასახადის ხარჯი	(43,811)	(36,918)

13. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ლიცენზიები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
31 დეკემბერი 2022 წელი	50,802	5,375	106,888	-	163,065
დამატება	13,239	-	-	-	13,239
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023 წელი	64,042	5,375	106,888	-	176,304
დამატება	-	-	-	12,586	12,586
გასვლა	(57,936)	(4,496)	(106,888)	-	(169,320)
31 დეკემბერი 2024 წელი	6,106	879	-	12,586	19,570
<i>დაგროვილი ცვეთა</i>					
31 დეკემბერი 2022 წელი	(42,082)	(3,176)	(78,005)	-	(123,264)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,694)	(367)	(3,829)	-	(5,891)
ცვეთის გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023 წელი	(43,776)	(3,544)	(81,834)	-	(129,154)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,168)	(276)	(2,441)	(7,342)	(11,226)
ცვეთის გასვლა	39,712	3,298	84,276	-	127,285
31 დეკემბერი 2024 წელი	(5,232)	(522)	(0)	(7,342)	(13,095)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>					
31 დეკემბერი 2022 წელი	8,720	2,199	28,883	-	39,801
31 დეკემბერი 2023 წელი	20,265	1,831	25,054	-	47,150
31 დეკემბერი 2024 წელი	874	357	(0)	5,244	6,475

კომპანიის ძირითად საშუალებებზე არ არსებობს უფლებრივი შეზღუდვები.

14. მარაგები

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებული	1 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებული
საქონელი	2,559,293	6,897,045	3,292,166
სხვა მარაგები	10,882	11,866	1,636
სულ	2,570,175	6,908,911	3,293,802

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებული	1 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებული
მოთხოვნები არარეზიდენტების მიმართ	44,392,034	36,377,770	44,156,213
გაცემული ავანსები	1,379,683	1,549,186	4,015,163
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(23,662,677)	(21,879,047)	(20,433,667)
სულ	22,109,040	16,047,910	27,737,709

შპს „ველფარ ინტერნეიშენალს“ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ფარმაცევტული საქონლის რეალიზებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს უკავია დიდი ნაწილი, რაც შეესაბამება კომპანიის საქმიანობის სპეციფიკას. სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს უპროცენტო ვალებს. საანგარიშგები პერიოდის შემდგომ, 2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით შპს „ველფარ ინტერნეიშენალს“ გარკვეული ნაწილის ოდენობით ჰქონდა მიღებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სავაჭრო მოთხოვნები.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად მომსახურების ვადის განმავლობაში ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი ეფუძნება კლიენტების გადახდების ანალიზს და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაშია მიღებული. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება იმ მაკროეკონომიკური ფაქტორების მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვად, რომელსაც გავლენა აქვს კლიენტის მიერ მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარზე. კომპანიამ განახორციელა ყველაზე შესაბამისი ფაქტორების იდენტიფიცირება და ამის მიხედვით დააკორექტირა ამ ფაქტორებში ცვლილებებზე დაფუძნებულ ისტორიული ზარალის განაკვეთი.

საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი რეზერვის მატრიცის მიხედვით. რეზერვის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას, პროგნოზირებადი ინფორმაციის აღსაწერად კორექტირებულს.

ინდივიდუალური შეფასების მიდგომა ხორციელდება დაკავშირებული კომპანიების მიმართ არსებულ მოთხოვნებსა და მსხვილ დებიტორებზე.

2024 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				
მიმდინარე	1%	325069.75	3,251	321,819
30 დღემდე ვადაგადაცილებული	15%	540665.11	81,100	459,565
30-90 დღით ვადაგადაცილებული	25%	280904.01	70,226	210,678
91-180 დღით ვადაგადაცილებული	40%	991230.94	396,492	594,739
181-365 დღით ვადაგადაცილებული	60%	205817.98	123,491	82,327
365 დღეზე მეტი				
ვადაგადაცილებული	100%	1151234.402	1,151,234	-
ინდივიდუალური შეფასება	52%	42,276,795	21,836,883	20,439,912
სულ		45,771,717	23,662,677	22,109,040

2023 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				
მიმდინარე	1%	555616.92	5,556	550,061
30 დღემდე ვადაგადაცილებული	15%	231660.6	34,749	196,912
30-90 დღით ვადაგადაცილებული	25%	378755.01	94,689	284,066
91-180 დღით ვადაგადაცილებული	40%	120160.1	48,064	72,096
181-365 დღით ვადაგადაცილებული	60%	255877.38	153,526	102,351
365 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული	100%	879821.14	879,821	-
ინდივიდუალური შეფასება	58%	35,505,065	20,662,641	14,842,424
სულ		37,926,956	21,879,047	16,047,910

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებული	1 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებული
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,468	1,557	81,275
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,906	3,017	524,502
სულ	5,375	4,574	605,777

17. საგაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებული	1 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებული
ვალდ. რეზიდენტების მიმართ	1,579,639	229,938	227,969
ვალდ. არარეზიდენტების მიმართ	10,822,775	10,348,329	5,408,101
მიღებული ავანსები	529,309	518,489	930,685
სულ	12,931,723	11,096,756	6,566,755

18. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო დებეგრა საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები. ოფიციალური გამონათქვამები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგის ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ წინა სამი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ მიერ აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები შესატყვისობაშია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან.

თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენას ახდენდეს ამ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ აღნიშნული საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაცია იყო მართალი, მათი ინტერპრეტაციის განხორციელებისას შეიძლება იყოს მიღებული მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკი.

ყოველი საანგარიშო თარიღის მიხედვით ხელმძღვანელობა ახდენს საგადასახადო რისკების შეფასებას და განიხილავს იმ შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება შესწავლილი იქნას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ. როცა ამის რისკის დადგომის ალბათობა იქნება მაღალი, კომპანია შექმნის შესაბამის რეზერვებს.

19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

19.1 ბრუნვები დაკავშირებული მხარეებთან

	2024 წელი	2023 წელი გადაანგარიშებული
მენეჯმენტის ხელფასი	90,000	90,000
რეალიზაცია სხვა დაკავშირებულ მხარეებზე	5,694,893	4,193,181
შესყიდვები სხვა დაკავშირებული მხარეებიდან	2,876,908	3,433,699

19.2 ნაშთები დაკავშირებული მხარეებთან

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებული
მოთხოვნების ნაშთი სხვა დაკ. მხარეების მიმართ	4,450,786	1,457,996
ვალდებულებების ნაშთი სხვა დაკ. მხარეების მიმართ	5,335,292	2,373,093
ფინანსური ვალდებულებები სხვა დაკ. მხარეების მიმართ	2,826,125	2,603,244
ფინანსური ვალდებულებები ხელმძღვანელობის მიმართ	44,692	23,395

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

ანარ გასიმოვ

დირექტორი

30.09.2025

თეა ბერინაშვილი

ფინანსური მენეჯერი

30.09.2025

19.2 ნაშთები დაკავშირებული მხარეებთან

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი გადაანგარიშებული
მოთხოვნების ნაშთი სხვა დაკ. მხარეების მიმართ	4,450,786	1,457,996
ვალდებულებების ნაშთი სხვა დაკ. მხარეების მიმართ	5,335,292	2,373,093
ფინანსური ვალდებულებები სხვა დაკ. მხარეების მიმართ	2,826,125	2,603,244
ფინანსური ვალდებულებები ხელმძღვანელობის მიმართ	44,692	23,395

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.


 ანარ გახიშვილი
 დირექტორი

30.09.2025


 თეა ბერინაშვილი

ფინანსური მენეჯერი

30.09.2025

მმართველობის ანგარიშგება

2024 წელი

შინაარსი

ისტორია, დამფუძნებელი და მმართველობა
საქმიანობა, ფინანსური მაჩვენებლები და განვითარების გეგმები

1. ისტორია , დამფუძნებელი და მმართველობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ველფარ ინტერნეიშენალი ს/კ 415091830, შემდგომში საწარმო ჩამოყალიბდა 2014 წლის 24 აპრილს, მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N 264 (თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა).
საწარმოს ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორი ანარ გასიმოვ პ/ნ 01097000941
საწარმოს წლის მფლობელები არიან: ვაფაძარ პასანოვ, P4910483 /აზერბაიჯანი/ – 100.00%

2. საქმიანობა, ფინანსური შედეგები და განვითარების გეგმები

შპს ველფარ ინტერნეიშენალი წარმოადგენს ფარმაცევტულ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობა არის ფარმაცევტული პროდუქტების შეძენა, გადამუშავება, დასაწყობება და საბითუმო რეალიზაცია საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უზბეკეთის, თურქეთის, მოლდოვის რესპუბლიკაში. შპს ველფარ ინტერნეიშენალის ძირითადი მომწოდებლები არიან იტალიის, საბერძნეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის რესპუბლიკები.
შპს ველფარ ინტერნეიშენალი ახდენს პარტნიორი ქარხნების მიერ, წარმოებული პრეპარატების შერჩევას საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდოვას, უზბეკეთის, ყაზახეთის რესპუბლიკის ბაზრებისათვის. აღნიშნული მუშაობის პარალელურად მიმდინარეობს იმ ახალი პარტნიორების მოძიება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან არსებული ბაზრებით. პარალელურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები და სამუშაო შეხვედრები უკვე არსებულ და ახალ დისტრიბუტორებთან ზემოთ ნახსენებ ქვეყნებში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომელიც ეფუძნება საწარმოს საბუღალტრო ჩანაწერებს.

კომპანიის შემოსავალმა 2024 წელს 40,242,768 ლარი შეადგინა (2023 წელს 29,689,782 ლარი), მოგება 7,964,405 ლარი (2023 წელს 4,320,391 ლარი), ხოლო კომპანიის მთლიანი აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 24,693,011 ლარს შეადგენდა (2023 წელს 23,008,545 ლარი).

საწარმო პროცესის მართვა და კონტროლი ხორციელდება დირექტორის მიერ.

კომპანიის საქმიანობა რაიმე სახის გავლენას არ ახდენს გარემოზე და გამომდინარე აქედან გარემოს დაცვის კონკრეტული გეგმა შემუშავებული არ არის.

კომპანიას ახალი საქმიანობის დაწყების გეგმები არ აქვს და გეგმავს ბაზრის წილის გაზრდას თავის საქმიანობაში. კომპანიას ფილიალები არ აქვს.

კომპანიაში დასაქმებულია 3 ადამიანი, რომელთა განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნავს და ხელს უწყობს კომპანია, რაც მნიშვნელოვანია, როგორც დასაქმებულისათვის, ასევე დამსაქმებლისათვის.

ანარ გასიმოვ

დირექტორი

30.09.2025

თეა ბერინაშვილი

ფინანსური მენეჯერი

30.09.2025

1. ისტორია , დამფუძნებელი და მმართველობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ველფარ ინტერნეიშენალი ს/კ 415091830, შემდგომში საწარმო ჩამოყალიბდა 2014 წლის 24 აპრილს, მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N 264 (თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა). საწარმოს ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორი ანარ გასიმოვ პ/ნ 01097000941 საწარმოს წლის მფლობელები არიან: ვაჟადარ პასანოვ, P4910483 /აზერბაიჯანი/ – 100.00%

2. საქმიანობა, ფინანსური შედეგები და განვითარების გეგმები

შპს ველფარ ინტერნეიშენალი წარმოადგენს ფარმაცევტულ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობა არის ფარმაცევტული პროდუქტების შეძენა, გადამუშავება, დასაწყობება და საბითუმო რეალიზაცია საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უზბეკეთის, თურქეთის, მოლდოვის რესპუბლიკაში. შპს ველფარ ინტერნეიშენალის ძირითადი მომწოდებლები არიან იტალიის, საბურმენთის, თურქეთის, აზერბაიჯანის რესპუბლიკები. შპს ველფარ ინტერნეიშენალი ახდენს პარტნიორი ქარხნების მიერ, წარმოებული პრეპარატების შერჩევას საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდოვას, უზბეკეთის, ყაზახეთის რესპუბლიკის ბაზრებისათვის. აღნიშნული მუშაობის პარალელურად მიმდინარეობს იმ ახალი პარტნიორების მოძიება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან არსებული ბაზრებით. პარალელურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები და სამუშაო შეხვედრები უკვე არსებულ და ახალ დისტრიბუტორებთან ზემოთ ნახსენებ ქვეყნებში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომელიც ეფუძნება საწარმოს საბუღალტრო ჩანაწერებს.

კომპანიის შემოსავალმა 2024 წელს 40,242,768 ლარი შეადგინა (2023 წელს 29,689,782 ლარი), მოგებამ 7,964,405 ლარი (2023 წელს 4,320,391 ლარი), ხოლო კომპანიის მთლიანი აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 24,693,011 ლარს შეადგენდა (2023 წელს 23,008,545 ლარი).

საწარმო პროცესის მართვა და კონტროლი ხორციელდება დირექტორის მიერ.


კომპანიის საქმიანობა რაიმე სახის გავლენას არ ახდენს გარემოზე და გამომდინარე აქედან გარემოს დაცვის კონკრეტული გეგმა შემუშავებული არ არის.

კომპანიას ახალი საქმიანობის დაწყების გეგმები არ აქვს და გეგმავს ბაზრის წილის გაზრდას თავის საქმიანობაში. კომპანიას ფილიალები არ აქვს.

კომპანიაში დასაქმებულია 3 ადამიანი, რომელთა განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნავს და ხელს უწყობს კომპანია, რაც მნიშვნელოვანია, როგორც დასაქმებულისათვის, ასევე დამსაქმებლისათვის.


ანარ გასიმოვ
დირექტორი

30.09.2025



თეა ბერინაშვილი

ფინანსური მენეჯერი

30.09.2025